ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N46

2023 წლის **31** ივლისი
ქ.ქობულეთი

ქ.ქობულეთი, პუშკინის ქუჩისათვის პოეტი ამირან ხაბაზის სახელის მინიჭების თაობაზე გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის N22 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1.პოეტი, პროზაიკოსი,საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი ამირან ხაბაზის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, დაშვებულ იქნას გამონაკლისი და მიეცეს თანხმობა დაწყებულ იქნას შესაბამისი პროცედურები ქ.ქობულეთი, პუშკინის ქუჩისათვის პოეტი ამირან ხაბაზის სახელის მინიჭებაზე;

2.დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიას (ლ.შაქარიშვილი) ქ.ქობულეთი, პუშკინის ქუჩისათვის პოეტი ამირან ხაბაზის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს (ნ.თხილაიშვილი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი